

## სასარგებლო ინტერნეტ-ინსტრუმენტები სწავლებისათვის

საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა და მრავალფეროვნება მნიშვნელოვნად გაიზარდა ინტერნეტის საყოველთაო გავრცელების შემდეგ. თუ თავდაპირველად ასეთი მასალები და ინსტრუმენტები არ იყო უშუალოდ სასწავლო პროცესზე მორგებული, თანდათან, განათლების სპეციალისტების მიერ ტექნოლოგიების ათვისებასთან ერთად შეიქმნა უამრავი სასარგებლო რესურსი თუ საშუალება, რომელთა გამოყენება სწავლებაში ყველა დაინტერესებულ მასწავლებელს შეუძლია. ზოგიერთი ასეთი რესურსის ავტორი თავად მასწავლებლებია. გავეცნოთ ზოგიერთ პოპულარულ ინტერნეტ-ინსტრუმენტს.

ინტერნეტში ხელმისაწვდომი სასწავლო მასალების გარდა, როგორცაა მაგალითად ვიდეოგაკვეთილები ან სხვა მულტიმედია რესურსები, სულ უფრო მეტ პოპულარულობას იძენს ვებ 2.0 სოციალური მედიის გამოყენება საგანმანათლებლო მიზნებით. ასეთი ინსტრუმენტების გამოყენებისათვის უნდა დარეგისტრირდეთ შესაბამის ვებგვერდებზე, მსგავსად იმისა, როგორც ახდენთ ახალი ელ.ფოსტის ან ვეისბუქის გვერდის შექმნისას.

ვებ 2.0 სასწავლო გარემო

ბლოგები

თანამშრომლობითი სასწავლო პროცესის განსახორციელებლად სულ უფრო ხშირად იყენებენ ბლოგებს, ანუ ინტერნეტ ელექტრონულ ჟურნალებს. ზოგიერთი მათგანი უნივერსალურად ხელმისაწვდომია, როგორცაა მაგალითად ვებ-ტექნოლოგიების გლობალური ლიდერის კომპანია Google-ის ბლოგების გენერატორი Blogger.com. აქ ბლოგის შესაქმნელად საკმარისია გქონდეთ ან შექმნათ Gmail ელექტრონული ფოსტის მისამართი და გაიაროთ ბლოგის შექმნის პროცედურა.

ბლოგების გამოყენება სასწავლო პროცესში შესაძლებელია მოსწავლეები მოსაზრებების შესაგროვებლად, ნასწავლზე რეფლექსიისათვის ან სასწავლო თემასთან დებატების ჩასატარებლად.

ბლოგების განსაკუთრებით საინტერესო გამოყენების მაგალითი ლიტერატურის სწავლებაში არის ე.წ. პერსონაჟთა ჟურნალები. სასწავლო პროექტში მოსწავლეებს უნაწილდებათ რომელიმე ლიტერატურული ნაწარმოების სხვადასხვა პერსონაჟების როლები და შემდეგ ევალებათ ბლოგის წარმოება ამ პერსონაჟის თვალთახედვიდან. ასეთი ბლოგების წარმოება ხელს უწყობს როგორც ნაწარმოების სიღმისეულად შესწავლას, მნიშვნელოვანი თემების გათავისებებას, ასევე ისტ უნარების განვითარებას და შეფასებას.

# Блог Джульетты

Четвер, 2 сентября 2012 г.

## Навеки вместе!

Это была замечательная идея ехать к Лоренцо. Он придумал план, который я думаю, сработает. Он даст мне травы, когда я выпью, то буду выглядеть как мертвая. Хорошо, правда? Он собирается послать кого-нибудь, чтобы рассказать Ромео, что происходит, чтобы он знал правду, что я не действительно мертва.

А я выпью зелье сегодня, прежде чем идти в постель. Все будут думать, я заразился смертельной болезнью и умерла. Я понимаю, что это плохо для моей семьи и друзей так страдать. Они будут чувствовать себя ужасно, когда они будут думать, что я мертва. Но что я могу сделать? Что является более важным, чем любовь? Кроме того, когда я проснусь и увижу, что лицо моего прекрасного Ромео улыбается мне, все это будет стоить того.

Я не могу дождаться, когда я проснусь, и дальше смогу быть всю жизнь вместе с Ромео. Пожелайте мне удачи!

Архив блогов

▼ 2012 (5)

▼ сентябрь (5)

[Навеки вместе!](#)

[Валеты и падения настоящей любви](#)

[УЖАС!](#)

[Знакомьтесь - НЕВЕСТА!](#)

[ЛЮБОВЬ С ПЕРВОГО ВЗГЛЯДА](#)

ამჟამად შექმნილია სპეციალიზებული სასწავლო სოციალური პლატფორმები, სადაც შეგიძლიათ წარმართოთ სასწავლო პროცესი თქვენს კლასთან, მისცეთ დავალებები, გაუზიაროთ რესურსები და დაგეგმოთ გაკვეთილები. ასეთი ვებ-საიტებიდან ყველაზე პოპულარულია edmodo.com.

არსებობს ასევე სპეციალურად საგანმანათლებლო მიზნებით შექმნილი ბლოგების პლატფორმები, როგორცაა edublog.org, სადაც ინტეგრირებულია ბლოგები და კლასის მართვის სისტემები, ინტერაქტიული სასწავლო გარემო.

## ვიკი

სასწავლო პრაქტიკაში კიდევ ერთი გავრცელებული ინსტრუმენტი არის სასწავლო ვიკი, ანუ ვიკიპედიის სტრუქტურის მქონე თანამშრომლობითი ვებგვერდი. ვიკის რედაქტირება შეუძლია კლასის ან ჯგუფის ყველა მოსწავლეს. ვიკი გამოიყენების მაგალითებია ჯგუფური წერა, ვებ-გვერდის ერთობლივი განვითარება, ინფორმაციის მოგროვება რომელიმე სასწავლო საკითხზე, ელექტრონული ცნობარის შექმნა, მოსწავლის პორტფოლიოს განთავსება, გაკვეთილების გეგმების ატვირთვა, სასწავლო პროექტის დაგეგმვა და მიმდინარეობის მართვა. ვიკიზე შესაძლებელია მულტიმედია ფაილების განთავსება და გაზიარებაც. ვიკის შესაქმნელად შესაძლებელია სპეციალური პროგრამის ჩამოწერა, მაგრამ უფრო მოსახერხებელია ვიკი მომსახურების ვებგვერდების გამოყენება. ყველაზე პოპულარული მათგანია wikispaces.com, რომელსაც გააჩნია საგანმანათლებლო საჭიროებებისთვის განკუთვნილი დიზაინი. ვებგვერდზე რეგისტრირების შემდეგ შესაძლებლობა გაქვთ გამოიყენოთ ვიკის საბაზო ინტერფეისი ან მოირგოთ ის თქვენს საჭიროებებზე

და შექმნათ საკუთარი სტილის ვებგვერდი. ვიკიზე შეგიძლიათ გქონდეთ განყოფილებები და ცალკეული საკითხებისადმი მიძღვნილი გვერდები. სასწავლო შინაარსით ვიკის დატვირთვისას საიტის გამართული სტრუქტურის შექმნა და ინფორმაციის სწორად განთავსება არსებითია. რომელიმე სასწავლო თემისადმი მიძღვნილი ვიკი წარმატებულია თუ: მასში გადმოცემული სასწავლო თემაზე მრავალფეროვანი ინფორმაცია; მასალა დეტალიზებულია ვიკის სხვადასხვა შიდა გვერდზე; ვიკის ენა გამართული და ადვილად აღსაქმელია, მითითებულია წყაროები; ჩასმულია შესაბამისი ვიზუალური მასალა, ბმულები დამატებული ინფორმაციაზე, და ა.შ.

საუკეთესო საგანმანათლებლო ვიკი საიტად რამდენჯერმე აღიარეს “მისალმებები მსოფლიოდან”, რომელიც აერთიანებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის მოსწავლეების მიერ შექმნილ ელექტრონულ პოსტერების საკუთარი გარემოსა თუ ქვეყნის შესახებ. ამჟამად ვიკი საიტზე თავმოყრილია 300-მდე ინტერაქტიული პოსტერი მსოფლიოს ყველა კონტინენტზე მდებარე სკოლებიდან.

Wiki Home

Recent Changes

Pages and Files

Members

Manage Wiki

Search Wiki

---

Home

About GFTW

Meet the Teachers

LOOK

LEARN

-- Spanish

-- Italian

CREATE

GFTW In Numbers


Awards

166

Like

★ home

## Welcome to Greetings From The World - GFTW



**LEARN about the world**


ასეთ ელექტრონულ პოსტერებს - გლოგებს ეძახიან და ეს კიდევ ერთი სასარგებლო რესურსია.

გლოგი

გლოგების - მედია ელემენტებით გამდიდრებული ელექტრონული პოსტერების შესაქმნელად საუკეთესო გვერდია edu.glogster.com. აშშ-ში ის აღიარებული N1 ონლაინ სასწავლო ინსტრუმენტად. მისი ინტერაქტიული პლატფორმის საშუალებით შეგიძლიათ შექმნათ პოსტერი ან ვებგვერდი, რომელიც მოიცავს მულტიმედია ელემენტებს, ტექსტს, აუდიოს, ნახატებს, გრაფიკას და მონაცემებს. ასეთი მულტიმედია ელექტრონული პოსტერები შეგიძლიათ გამოიყენოთ სასწავლო დავალებებისთვის, საკლასო პროექტისთვის, ინფორმაციის თავმოსაყრელად, ელექტრონული ცნობარის შესაქმნელად. გლოგების შექმნის დაგეგმვისას მასწავლებელი ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის კონკრეტული სტანდარტების შედეგებს, რომელთა მიღწევაც სურს. ასევე მნიშვნელოვანია ტექსტური ინფორმაციის და მულტიმედია ჩანართების კარგი ბალანსი, რომ ელექტრონული პოსტერი აღქმადი და დაბალანსებული იყოს. მაგალითად, საკუთარ ქვეყნებზე შექმნილ გლოგებში მოსწავლეები რთავენ ღირშესანიშნავ თარიღებს, პეიზაჟებს, ხალხური სიმღერისა და ცეკვის ამსახველ ვიდეოებს, რაც შეჯერებულია ტექსტურ ინფორმაციასთან.

# Think Fractions!

Watch this video



One Is The Loneliest Nu




Explain how you know a fraction is eq  
Use words and pictures.



Make a game for 4th Graders. Players should capture at least 9 fractions equivalent to  $1/2$ .



Write the band and explain why you think One is not the loneliest number.



Put the following fractions in order from greatest to least.  
 $2/3, 3/8, 1/6, 4/5$ .  
Put your work in your digital math journal.



გლოგების შექმნა შესაძლებელია ასევე გაკვეთილების დასაგეგმად, ტრენინგებისა და პროფესიული განვითარებისთვის

## ონლაინ გამოკითხვები და ტესტები

კიდევ ერთი გავრცელებული ონლაინ ინსტრუმენტი ტესტების, გამოკითხვების და კვლევების შესაქმნელი ვებგვერდები. ასეთი ინსტრუმენტი შეგიძლიათ გამოიყენოთ გაკვეთილის მიმდინარეობისას ან შეფასების ორგანიზებისათვის. გამოკითხვის ან ტესტის ნაბეჭდი/წერილობითი ფორმის ნაცვლად გამოიყენებთ ელექტრონულ ვებ ინსტრუმენტს. თქვენ სვამთ შეკითხვას და უთითებთ პასუხის რამდენიმე ვარიანტს. თქვენი აუდიტორია პასუხობს ინტერნეტ-ბრაუზერის მეშვეობით ან მობილური ტელეფონით გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინების საშუალებით. პასუხებს იღებთ ძალიან სწრაფად, შესაბამისად ამით უმაღლესი ამოწმებით ამა თუ იმ მოსწავლის ცოდნას, ან იღებთ კლასისგან უკუკავშირს. ასეთი გამოკითხვები შეგიძლიათ



გამოიყენოთ კონკრეტული კითხვებისთვის, ფაქტობრივი ცოდნის დასადგენად - მაგალითად ისტორიული თარიღის ცოდნის შემოწმებისას, ან არჩევანის გასაკეთებლად, ხმის მისაცემად.


# K12 Student Response System

The diagram illustrates the K12 Student Response System workflow. It features three main components: a web browser, a mobile phone, and a presentation slide. The web browser shows a 'New Multiple Choice Poll' for 'What is your favorite animal?' with options 'Lion', 'Turtle', and 'Grandpa'. The mobile phone displays an SMS message from '22333' with the response 'TURTLE'. The presentation slide shows a bar chart with 'Turtle' and 'Grandpa' as categories. Callout boxes explain the process: 'You ask a question' (pointing to the browser), 'Audience answers using mobile phones, twitter, or web browser' (pointing to the phone), and 'Responses are displayed live in Keynote, PowerPoint, or the web' (pointing to the presentation slide).

სასწავლო მიზნებით ხშირად გამოიყენება [www.polleverywhere.com](http://www.polleverywhere.com) რომელიც უფასოა 40 მონაწილემდე გამოკითხვების ჩატარების დროს. ტესტის ან გამოკითხვის შედეგა ან ვებგვერდის მეშვეობით ადვილი და ინტუიტიურია.

სხვადასხვა რესურსები

სასარგებლო ინსტრუმენტების კოლექცია არის თავმოყრილი [www.classtools.net](http://www.classtools.net) ვებგვერდზე. აქ შეგზვდებათ ე.წ. თევზის ჩონჩხის დიაგრამის გენერატორი, რომლის შევსება და შენახვაც შეგიძლია.



ასევე წამზომი უკუთვლით, რომელიც პროექტორით შეგიძლიათ მთელ კლასს აჩვენოთ რაიმე დავალებაზე მიცემული დროის კონტროლის მიზნით.

**Classools.net Countdown Timer**

Select a Soundtrack! [Or just type your time into the box below!]

**Time Left:**  
**04:33**  
 Minutes:Seconds

Countdown

The interface includes a gear icon for settings and a monitor icon for display options.

ამ ვებგვერდზე საინტერესოა ასევე გარკვეული ისტორიული ეპოქის ან სხვა მოვლენების დროში გაწერილი რუქის (თაიმლაინი) შესაქმნელი გენერატორი, სადაც მიუთითებთ საწყის და საბოლოო თარიღებს და შუალედებში, შესაბამის თარიღთან მოათავსებთ ამა თუ იმ მოვლენას. დროით რუქას შეგიძლიათ დაურთოთ კომენტარები და შეინახოთ ის.

სხვა მოსახერხებელი ვებგვერდებიდან აღსანიშნავია პოპულარული slideshare.net, სადაც შეგიძლიათ ატვირთოთ და ყველას გაუზიაროთ თქვენი პრეზენტაციები.

---

ტექნოლოგიები და ინტერნეტი სულ უფრო ხელმისაწვდომი ხდება და ქმნის ახალ შესაძლებლობებს მოიპოვოთ რესურსები სწავლებისათვის, გაამდიდროთ გაკვეთილები ინტერაქტიული პროგრამებით და მულტიმედია მასალებით, გაიზიაროთ თქვენი გამოცდილება, ისწავლოთ და ასწავლოთ ხალისიანად. თუ ერთი შეხედვით ასეთი ონლაინ ინსტრუმენტების გამოყენება სირთულეს წარმოადგენს, შეგიძლიათ ისარგებლოთ კოლეგების რჩევებით, ვინც უფრო აქტიურად იყენებს ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს სასწავლო პროცესში. ზოგიერთი



ასეთი ინსტრუმენტი თანდათან ფართოდ იწერება და შესულია მასწავლებელთა  
გადამზადების ცენტრის ისტრუქციების პროგრამაშიც.